3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

3.1 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე სრული ან ასოცირებული პროფესორი, შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის საერთო შეთანხმებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე.
3.2 სადოქტორო პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს მოწვეულმა, შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირმა შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის შუამდგომლობისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
3.3 პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი.
3.4 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები; სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას; სადოქტორო პროგრამის საჯარო განხილვას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, კათედრა და ა. შ.) ან შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების სხდომაზე.
3.5 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი არის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
3.6 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: სტუდენტების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციის გაწევა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა სადოქტორო სემინარში, პროგრამის მონაწილე დოქტორანტების სასწავლო და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი და სხვ.
3.7 სრული ან ასოცირებული პროფესორი (ასევე მოწვეული, შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის პირი) შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.
3.8. სადოქტორო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია თსუ აკადემიური საბჭოს N172 დადგენილებით სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ინსტრუქციის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.